## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №18
**2018 წლის 6 აგვისტო**

**დაბა ჩხოროწყუ**

### „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

**მუხლი 1**

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №42 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/11/2017წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.107.016274) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მერიის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

გ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური;

დ) ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური;

ე) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების სამსახური;

ვ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური;

ზ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

თ) სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;

ი) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;

კ) შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარის**
**მოვალეობის შემსრულებელი** **კობა ჯიქია**